



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N014/20<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*სალომე ზეინკლიშვილი (სტუდენტი)*

### **შეკითხვა**

ადვოკატი წარმოადგენს კომპანიას შრომით დავაში და ამავე დროს, იცავს მოცემული კომპანიის დირექტორის ინტერესებს პარტნიორებთან დავაში. მოცემული დავა ასევე შეეხება შრომით ურთიერთობას და მიმართულია კომპანიის წინააღმდეგ. არის თუ არა ეს საქმეები დაკავშირებული და უნდა შეწყვიტოს თუ არა ადვოკატმა კომპანიის ინტერესების დაცვა?

### **სამართლებრივი შეფასება**

ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია არ დაამყაროს ურთიერთობა, რომელიც მისი კლიენტის ინტერესებს საფრთხის ქვეშ დააყენებს. ინტერესთა კონფლიქტთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ადვოკატი ახორციელებს წარმომადგენლობას დაკავშირებულ საქმეებში, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს წინააღმდეგობის წარმოშობის არსებითი საფრთხე. ამგვარ ვითარებაში ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება. ადვოკატი ერთდროულად წარმოადგენს კომპანიის საერთო ინტერესს და ასევე აწარმოებს კომპანიის წინააღმდეგ დავას. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე დავა შრომით ურთიერთობასთანაა კავშირში, შესაბამისად, ერთ საქმეზე მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, მეორეს სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. მოცემულ შემთხვევაში საქმეები დაკავშირებულია მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამო.

### **დასკვნა**

სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი კლიენტთა ინტერესებს შორის, ვინაიდან საქმეთა ურთიერთდაკავშირებულობის გამო კონკურენციაში მყოფი პროფესიული ვალდებულებების შესრულებას ადვოკატი ვერ შეძლებს, პროფესიული სტანდარტის დაცვისთვის რეკომენდებულია შეწყვიტოს კომპანიის ინტერესების დაცვა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/60ab4620f1d1b.pdf/014.20%20gacemis%20tarigi%2011.06.20.pdf>